გენერალი გიორგი მაზნიაშვილი

მიხეილ ბახტაძე

1921 წლის 18 თებერვლის საღამოს თბილისის დაცვის ცენტრალური მიმართულების სარდალს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს, მზვერავებმა მტრის მოახლოების შესახებ აცნობეს.

უკვე ერთი კვირა იყო, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ქვედანაყოფების წინააღმდეგ. ომის პირველ დღეებში ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მარცხი განიცადა და უკან დაიხია. ამიტომ ახალმა მთავარსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, მთავარი ყურადღება თბილისის დაცვაზე გადაიტანა. დედაქალაქის დაცვა სამ სექტორად იყო დაყოფილი: მარჯვენა ფრთა, კოჯორ-ტაბახმელას მიმართულება – სარდალი გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი; ცენტრი, შავნაბადა-სოღანლუღის მიმართულება – სარდალი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი; მარცხენა ფრთა, ორხევის მიმართულება – სარდალი გენერალი არტემ ჯიჯიხია.

მოწინააღმდეგემ თბილისზე პირველი იერიში გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებზე მიიტანა. 18 თებერვალს, 20-21 საათზე, ქართველმა სადაზვერვო რაზმებმა მოწინააღმდეგის მოძრაობა დააფიქსირეს. 22 საათისათვის მოწინააღმდეგემ იაღლუჯის ქედს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შემოუარა და გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებისაკენ დაიძრა. დაზვერვაზე წასულმა გორის გვარდიისა და სადარაჯო ათასეულის რაზმებმა მტრის ავანგარდთან მცირე შეტაკების შემდეგ უკან დაიხიეს. მათ დახმარებას ჯავშან-

გიორგი კვინიტაძე
(1874-1970)

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი
(1871-1923)

გიორგი მაზნიაშვილი
(1870-1937)

არტემ ჯიჯიხია
(1874-1938)

გიორგი კვინიტაძე იყო რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1918 წლიდან ქართულ არმიაშია. 1919 წელს მეთაურობდა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ ჯარს, გაათავისუფლა ძველი ქართული მხარე არტაანი. იყო ქართული სამხედრო სკოლის დამაარსებელი და მისი პირველი მეთაური. 1920 წლის მაის-სექტემბერში შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად იყო დანიშნული. დაამარცხა აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოში შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილები. 1921 წლის 16 თებერვალს დაინიშნა ქართული არმიის მთავარსარდლად. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა საფრანგეთში, მუშაობდა გრამფირფიტების ქარხანა „Pathe“-ში. გარდაიცვალა 1970 წელს პარიზის მახლობლად, დაბა შატუში.

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1918 წლიდან ქართულ ჯარშია. 1918 წლის შემოდგომიდან 1919 წლის ზაფხულამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსია. 1920 წელს დაინიშნა სამხედრო სკოლის ხელმძღვანელად. 1921 წლის თებერვალში, თბილისიდან უკანდახევის დროს, დაინიშნა მთავარსარდლის მოადგილედ. ემიგრაციაში არ წასულა. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზდებელი სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

არტემ ჯიჯიხია პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ პრუსიაში მიმდინარე ბრძოლების მონაწილე იყო. 1918 წლიდან ქართულ არმიაშია. 1918 წელს იბრძოდა გაგრის ფრონტზე. საქართველო-სომხეთის ომში მონაწილეობდა პოლკოვნიკის ჩინით. 1921 წელს ემიგრაციაში არ წასულა. დახვრიტეს 1938 წელს.

მანქანების რაზმი უწევდა. სწორედ ჯავშანმანქანების რაზმიდან შეატყობინეს გენერალ მაზნიაშვილს, რომ მტერი სოღანლუღისაკენ მოიწევდა. არსებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ გენერალმა მაზნიაშვილმა დაასკვნა, რომ მტერი ძირითად იერიშს მხოლოდ ერთი მიმართულებით – მტკვრიდან რკინიგზის ხაზამდე არსებულ მონაკვეთზე მოიტანდა. მაზნიაშვილი გვარდიის გორის ბატალიონის მიერ დაკავებულ პოზიციებზე მივიდა, რადგან შეტევა სწორედ აქ იყო მოსალოდნელი. გენერალმა ძლივს მოასწრო ბატალიონის უფროსის მოხსენების მოსმენა, რომ შეტევა დაიწყო. ამ დროს დაახლოებით. 1:30 საათი იყო. სასტიკი და თავგანწირული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. დაახლოებით 3-დან 4-ის ნახევრამდე პერიოდში გენერალი მაზნიაშვილი სადარაჯო ათასეულის განლაგებაში გადავიდა და იქიდან განაგრძო ბრძოლის ხელმძღვანელობა. მაზნიაშვილი შიშობდა, რომ მოწინააღმდეგე შეტევის ძირითად მიმართულებას შეცვლიდა და

1921წლის 24-25 თებერვლის ბრძოლები



მის მარჯვენა ფლანგს შეუტევდა. თუმცა ეს შიში არ გამართლდა. მოწინააღმდეგე კვლავ ჯიუტად ცდილობდა გორის გვარდიელების პოზიციების გარღვევას. გამთენიისას, მოწინააღმდეგის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ, სადარაჯო ათასეული იერიშზე გადავიდა. მას გორის ბატალიონმაც მიბაძა, სანგრებიდან ამოვიდა და მოწინააღმდეგეს შეუტია. მათ მხარი სარეზერვო ბატალიონმაც დაუჭირა. ბრძოლაში მონაწილეობდა ორი ქართული თვითმფრინავიც. მტერმა ქართველთა იერიშს ვერ გაუძლო და უკან დაიხია იაღლუჯის მიმართულებით. ტყვედ ჩავარდა 1600 წითელარმიელი.

ეს იყო ქართული ჯარის პირველი წარმატება ამ ომში და ის გენერალ მაზნიაშვილის სახელს უკავშირდება.

1918 წლის დასაწყისში ოსმალებმა კვლავ შეუტიეს ქართულ მხარეს. მათი შეჩერება ვერ ხერხდებოდა და მოწინააღმდეგემ ბათუმიც კი დაიკავა. ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის სარდლად გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა. მან ჩვეული წესით ჯერ მოსამზადებელი ღონისძიებები გაატარა და მხოლოდ შემდეგ დაიწყო აქტიური სამხედრო მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ გენერალი ყოველთვის უფრთხილდებოდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიცოცხლეს და სამხედრო ოპერაციებსაც შესაბამისად გეგმავდა. მაზნიაშვილმა შეძლო და ჯერ მდინარე ჩოლოქთან შეაჩერა თურქეთის ჯარის წინსვლა, შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა და ბათუმი გაათავისუფლა.

წმ. გიორგი ორდენი

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაიბადა 1870 წელს კასპის რაიონის სოფელ სასირეთში. სამხედრო განათლების მიღების შემდეგ სამსახური დაიწყო რუსეთის არმიაში. მონაწილეობდა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში. დაიჭრა და მკურნალობდა პეტერბურგის ჰოსპიტალში, სადაც პირადად იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ინახულა და ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ოქროს ხმალი და წმ. გიორგის ორდენი გადასცა. პირველი მსოფლიო ომის დროს ვარშავასთან მძიმედ დაიჭრა და 1917 წლის შემოდგომაზე საქართველოში დაბრუნდა.

ამ დროს პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და კავკასიის ფრონტზე ბრძოლები არ წყდებოდა. ვითარება ძალიან რთული იყო. 1917 წლის თებერვალში იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გადადგომამ და დროებითი მთავრობის შექმნამ მდგომარეობა ვერ გამოასწორა. ოქტომბერში კი ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. პოლიტიკური პროცესები გავლენას ახდენდა ჯარზეც. რუსეთის ჯარი, რომელსაც მანამდე სერიოზული წარმატება ჰქონდა და ტრაპიზონიც კი აიღო, ამ დროისათვის დემორალიზებული და ფაქტობრივად დაშლილი იყო, ოსმალეთის არმიას წინააღმდეგობას არ უწევდა და უკან იხევდა. გაჩნდა საფრთხე, რომ ოსმალეთი ისტორიულ ქართულ მხარეებს კვლავ დაიპყრობდა. ქართველი პოლიტიკოსებისთვის ცხადი გახდა, რომ ოსმალთა შესაჩერებლად საჭირო იყო ეროვნული, ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იყო.

ამასობაში ვითარება შეიცვალა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. თავის არსებობის 1028 დღის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკას ფაქტობრივად მუდმივ საომარ მდგომარეობაში უწევდა ყოფნა. ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან ემუქრებოდა საფრთხე.

1918 წლის ზაფხულში საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, აფხაზეთში, ბოლშევიკებმა ანტისახელმწიფოებრივი აჯანყება დაიწყეს. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა: ბოლშევიკებს, ანუ „წითლებსა“ და მათ მოწინააღმდეგეებს – „თეთრებს“ (თეთრგვარდიელებს) შორის. 1918 წლის 18 ივნისს გენერალი გი-

ქ.სოჭი, მანქანაში უკან სხედან სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი და არზაყან ემუხვარი

ორგი მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და იქ მყოფი ქართული ჯარების სარდლად დაინიშნა. 19 ივნისს გენერალი უკვე სოხუმში იყო. რამდენიმე დღეში კი კონტრშეტევა დაიწყო, რომლის შედეგადაც გათავისუფლდა ახალი ათონი, გუდაუთა და გაგრა. აფხაზეთში შექმნილი ვითარების სათავისოდ გამოყენება სცადა ოსმალეთმა და ივნისის ბოლოს თავისი დესანტი მდინარე კოდორის მახლობლად გადმოსვა. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მალევე მოახერხეს თურქთა დესანტის დამარცხება. ამასობაში „წითლების“ წინააღმდეგ დაწყებული იერიში წარმატებით გრძელდებოდა და ქართულმა ჯარმა დაიკავა ადლერი, ხოლო 6 ივლისს – სოჭი. ივლისის ბოლოს ქართულმა შენაერთებმა ქალაქი ტუაფსეც დაიკავეს. აქ ქართულ ჯარს ახალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ეს „თეთრგვარდიელთა“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხელმძღვანელის, გენერალ დენიკინის არმია იყო. დენიკინი, რომელიც „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენისთვის იბრძოდა, დამოუკიდებელ საქართველოს არ აღიარებდა და თავის მოწინააღმდეგედ თვლიდა. დენიკინელებთან შეიარაღებული შეტაკების თავიდან აცილების მიზნით გენერალმა მაზნიაშვილმა ტუაფსე დატოვა და უკან დაიხია. იმ მომენტში დენიკინის უმთავრესი მოწინააღმდეგე „წითლები“ იყვნენ და ამიტომ საქართველოსთან კონფლიქტი მის გეგმებ-

1918 წ. ივლისი, სოჭში შესულ ქართულ არმიას ქალაქის მოსახლეობა ესალმება

დიდი ქართველები

ანტონ დენიკინი რუსეთის სამოქალაქო ომში თეთრგვარდიელთა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ლიდერი იყო. მონაწილეობდა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში. პირველი მსოფლიო ომის დროს მეთაურობდა კორპუსს, ხოლო შემდგომში – ჯერ დასავლეთის, ხოლო მერე – სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებს. 1918 წლიდან ჩაება სამოქალაქო ომში და იყო სამხრეთ რუსეთში მოქმედი ე.წ. მოხალისეთა არმიის ერთ-ერთი შემქმნელი და მეთაური. 1919 წლიდან იყო სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების (იგულისხმება თეთრგვარდიელთა ნაწილები) მთავარსარდალი. ამავე წლის ზაფხულში წამოიწყო დიდი შეტევა მოსკოვის მიმართულებით. მიუხედავად დასაწყისში მიღწეული წარმატებებისა, საბოლოოდ მაინც დამარცხდა. 1920 წლის აპრილში გადადგა მთავარსარდლობიდან და წავიდა ემიგრაციაში. გენერალი დენიკინი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეის ერთგული იყო და რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს არ ცნობდა, მათ შორის – არც საქართველოს. ამით იყო გამოწვეული მისი დაპირისპირება საქართველოს რესპუბლიკასთან, რაც სოჭის მხარეში მიმიდინარე საომარ მოქმედებებშიც გამოიხატა.

ში არ შედიოდა. ქართულ და რუსულ მხარეებს შორის რამდენიმე მოლაპარაკებაც გაიმართა, რომლებშიც გენერალი მაზნიაშვილიც მონაწილეობდა. მალევე მაზნიაშვილი აფხაზეთიდან გამოიწვიეს და თბილისში გადმოიყვანეს.

1918 წლის შემოდგომაზე დაიძაბა ვითარება საქართველო-სომხეთის საზღვარზე, სადაც სამხედრო შეტაკებებიც მოხდა. დეკემბრის დასაწყისში კი სომხეთის ჯარი შეტევაზე გადმოვიდა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე

შემოიჭრა. ქართულ შეიარაღებულ ძალებს მძიმე ბრძოლები ჰქონდათ, მტრის შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და უკან იხევდნენ. მოწინააღმდეგემ დაიკავა სადახლო, შულავერი და სცდა შეტევა სანდარის (დღევანდელი მარნეული) მიმართულებით განეგრძო. ასეთ რთულ ვითარებაში, დეკემბრის შუა რიცხვებში ყველაზე მთავარი მიმართულების – შულავერი-სადახლოს (საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა ასევე ახალქალაქის მაზრაში და ეკატერინენფელდის ანუ დღევანდელი ბოლნისის რაიონშიც) ფრონტის სარდლად გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა. მისი შტაბის უფროსი გენერალი გიორგი კვინიტაძე გახდა.

საინტერესოა მაზნიაშვილის კვინიტაძისეული შეფასება – „გენერალი მაზნიაშვილი მამაცი კაცია. რამდენჯერმე მინახავს ტყვიის ზუზუნში და გადაჭრით შემიძლია ამის თქმა. ერთობ არასასურველ ვითარებაშიც მამაცია. მაგრამ თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ ესაა მისი ნაკლი, მოჭარბებული სიმამაცე. ხშირად გადადებს ხოლმე თავს. ხშირად მოქცეულა ისე, რომ შეიძლებოდა თავი წაეგო და ხელიდან გამოგვცლოდა ისეთი კაცი, რომლის დაკარგვაც დიდ ზიანს მოგვიტანდა“.

სათანადო მომზადების შემდეგ გიორგი მაზნიაშვილის შენაერთები შეტევაზე გადავიდნენ და გაათავისუფლეს შულავერიც და სადახლოც. ამასობაში სამხრეთ კავკასიაში მყოფი ბრიტანელების ჩარევით საქართველოსა და სომხეთის მთავრობები ომის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ და ქართული ნაწილების წინსვლა 31 დეკემბრის 24 საათზე სამხედრო ოპერაციების შეწყვეტამ შეაჩერა.

1919 წლის დასაწყისში გენერალი მაზნიაშვილი სამხრეთ საქართველოში გაიგზავნა. ის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გუბერნატორად დაინიშნა და ამ მხარეში თურქეთის აგენტებისა და მათ მხარდამჭერთა მიერ დაწყებული აჯანყების ჩახშობა დაევალა. მისი შტაბის უფროსი ამჯერად გენერალი არტემ ჯიჯიხია იყო.

გენერალ მაზნიაშვილს საკმაოდ რთულ ვითარებაში უხდებოდა მოქმედება. მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები მეტად მცირერიცხოვანი იყო. დამატებითი ძალების გაგზავნას კი შეგნებულად არ ითხოვდა, რადგან ამ დროს სოჭის ფრონტზე დენიკინელთა შემოტევა დაიწყო. გენერალი მაზნიაშვილი სწორად აფასებდა ვითარებას, მიაჩნდა, რომ ყველაზე დიდი საფრთხე „თეთრგვარდიელთა“ აგრესია იყო და მთელი ძალები სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგზავნილიყო და თავისთვის არაფერს ითხოვდა. მიუხედავად ამისა მაზნიაშვილმა მაინც შეძლო პირველ ეტაპზე გარკვეული წარმატების მიღწევა და თურქთაგან რამდენიმე დასახლებული პუნქტიც გაათავისუფლა. თუმცა შემდგომ ვითარება შეიცვალა და ქართულმა ჯარმა ახალციხე დატოვა. რამდენიმე დღის შემდეგ სამხედრო მინისტრის ბრძანებით გენერალი მაზნიაშვილი თბილისში გაიწვიეს, მის ადგილზე კი გენერალი კვინიტაძე დაინიშნა.

თბილისში დაბრუნებულ გენერალს აბსურდული ბრალდება – ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა – წაუყენეს და ახალციხის დატოვებაც დანაშაულად ჩაუთვალეს. ძიება წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. 1920 წლის ოქტომბრის დასაწყისში გამართულმა სასამართლომ გენერალი გაამართლა. მთელი ამ ხნის მანძილზე გიორგი მაზნიაშვილი ჩამოცილებული იყო აქტიურ სამხედრო საქმიანობას.

სასამართლოს მიერ გამამართლებელი გადაწყვეტილების გამოტანიდან მეორე დღესვე გენერალი მაზნიაშვილი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ დაიბარა და თბილისის გარნიზონის უფროსობა შესთავაზა. მაზნიაშვილი დათანხმდა. სწორედ ამ თანამდებობაზე მოუსწრო მას რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამ.

1921 წლის 18 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით ქართული ჯარი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით შავნაბადა-სოღანლულის მიმართულებაზე მტრის ყველა შემოტევას წარმატებით იგერიებდა. გიორგი მაზნიაშვილის ნაწილებმა პოზიციები მხოლოდ მთავარსარდალ კვინიტაძის მიერ თბილისის დატოვების ბრძანების გაცემის შემდეგ (თავად მაზნიაშვილი ამ ბრძანებას არ ეთანხმებოდა) დატოვეს.

გენერალი დავით ართმელაძე 1918 წლიდან ქართულ არმიაშია. 1920-1921 წლებში სარდლობდა პირველ ბრიგადას, რომლის შტაბიც სოხუმში იყო და იცავდა აფხაზეთის მიმართულებას. 1921 წლის თებერვალმარტში მეთაურობდა გაგრის მხრიდან შემოჭრილი მე-9 წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლთა შენაერთებს.

1921წლის 15-17 თებერვლის ბრძოლები



დედაქალაქის დატოვების შემდეგ ქართულმა ჯარმა თავდაპირველად გორისკენ, ხოლო შემდეგ ხაშურისკენ დაიხია. 3 მარტს ხაშურში მყოფმა მთავარსარდალმა ჯარები გადააჯგუფა და მეორე დღეს კონტრშეტევაზე გადასასვლელად მოამზადა. ცენტრალურ უბანზე მყოფ გენერალ მაზნიაშვილს მდინარე სურამულას გასწვრივ უნდა შეეტია და დაეკავებინა სოფელი სატივე. 4 მარტს წარმატებით დაწყებული იერიში მოგვიანებით გვარდიის მიერ პოზიციების მიტოვების გამო შეჩერდა და ჩაიშალა. სამწუხაროდ, ვერც ლიხის ქედზე მოხერხდა მოწინააღმდეგის შეჩერება. მაზნიაშვილის ნაწილებმა უკანასკნელებმა დატოვეს პოზიციები და სადგურ მოლითისკენ დაიხიეს. აქ მთავარსარდალმა, გენერალმა კვინიტაძემ მაზნიაშვილი არიერგარდის უფროსად დანიშნა. თავად მაზნიაშვილი ასე აღწერს ყოველივეს: „აქედან იწყება არიერგარდული უკან დახევა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ არიერგარდს დღისით ეჭირა პოზიციები სადგურთან, ხოლო ღამით გადადიოდა მეორე სადგურზე. მოწინააღმდეგე არ იჩენდა არავითარ აქტივობას და დღის განმავლობაში არ აწარმოებდა ენერგიულ წინსვლას. მაგრამ საღამოზე, როცა ჩვენს პოზიციებს მოუახლოვდებოდა მოწინააღმდეგის მეწინავე რაზმები, ჩვენი ჯარები სტოვებდნენ პოზიციებს და იხევდნენ შემდეგი სადგურისკენ. ამგვარად მივედით ხარაგაულის სადგურამდე“. ამ დროისთვის საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ქუთაისში იმყოფებოდა.

არიერგარდი – ჯარის ან ფლოტის ნაწილი, რომელიც ფრონტიდან ზურგისაკენ მოძრაობისას მთავარ ძალებს ბოლოში მიჰყვება და იცავს მათ.

გიორგი მაზნიაშვილი

საბჭოთა რუსეთი საქართველოს რამდენიმე მხრიდან უტევდა. მე-11 არმიის ნაწილები კვალდაკვალ მოჰყვებოდნენ უკან დახეულ ქართულ შენაერთებს, მაგრამ დიდ აქტივობას არ იჩენდნენ; რაჭის მხრიდან მომავალ მტერს ქართულმა ნაწილებმა ხვანჭკარისა და ნიკორწმინდა-შქმერის მიდამოებში ბრძოლა კი გაუმართეს, მაგრამ

გენერალი ვარდენ წულუკიძე მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918 წლიდან ქართულ ჯარშია. მონაწილეობდა სომხეთთან ომში. 1919 წლიდან მე-3 ბრიგადის (შტაბი ახალციხეში, იცავდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას) მეთაურია. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზდებელი სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს 1923 წლის 20 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. დახვრეტის წინ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლებს. გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით ქართველ პატრიოტებს შეჰფერის“.

მტერი წინსვლას განაგრძობდა; აფხაზეთში საბჭოთა მე-9 არმიის წინააღმდეგ გენერალ დავით ართმელაძის ხელმძღვანელობით მებრძოლი ქართული ქვედანაყოფები მტრის შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და სენაკის მიმართულებით უკან იხევდნენ. არსებობდა საფრთხე, რომ მტერი სამტრედიას დაიკავებდა. ამის თავიდან ასაცილებლად ართმელაძის შენაერთების დასახმარებლად გენერალი მაზნიაშვილი გაიგზავნა. სამტრედიაში ჩასული მაზნიაშვილი გენერალ ანდრონიკაშვილს შეხვდა, რომელიც ამ დროისათვის მთავარსარდლის მოადგილედ იყო დანიშნული. ანდრონიკაშვილმა მაზნიაშვილს მტრის სენაკთან შეჩერება უბრძანა. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მაზნიაშვილს პოზიციები უნდა შეენარჩუნებინა და სანამ ქუთაისიდან ევაკუაცია არ დასრულდებოდა, მოწინააღმდეგის სამტრედიისკენ წინსვლა არ უნდა დაეშვა.

ბრძანების მიღების შემდეგ მაზნიაშვილის შენაერთები სენაკისკენ დაიძრნენ, სადაც ისინი ართმელაძის ქვედანაყოფებს შეხვდნენ. 10 მარტს გამთენიისას მე-9 არმიის ნაწილებმა მდ. ცივის მარცხენა სანაპიროზე გამაგრებულ ქართულ შენაერთებს შეუტიეს. მაზნიაშვილმა იერიში მოიგერია და ამით გენერალ ართმელაძის ქვედანაყოფებს აბაშისკენ უკან დახევის საშუალება მისცა.

11 მარტს გენერალმა ანდრონიკაშვილმა მაზნიაშვილს აცნობა, რომ ევაკუაცია დამთავრებულია და ხვალ დილიდან უკვე შეუძლია უკან დაიხიოს. 12 მარტს დილით ადრე მაზნიაშვილმა უკან დახევა დაიწყო. დილის 8 საათზე მდ. რიონზე გადავიდა, ხიდი ააფეთქა და სადგურ საჯავახოზე პოზიციები დაიკავა. მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე ქართულმა შენაერთებმა თავდაცვის უკანასკნელი ზღუდე დაიკავეს. მტერმა სადგურ საჯავახოს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ ქართველმა არტილერისტებმა საპასუხო ცეცხლით მტრის არტილერია ნახევარ საათში ჩააჩუმეს. ომის მოგების თეორიული შანსიც კი აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა, მაზნიაშვილთან მაინც მოდიოდნენ მოხალისეები. მოდიოდნენ საკუთარი იარაღით, საკუთარი საგზლით და უდიდესი სურვილით ბოლომდე ებრძოლათ საქართველოს თავისუფლებისათვის. მოხალისეთა ხარჯზე ჯარის რაოდენობა გაიზარდა და გენერალ მაზნიაშვილის ცნობას თუ ვენდობით, 16 მარტისთვის მას 9 800 მეომარი ჰყავდა.

13 მარტს მთავარსარდალი კვინიტაძე ბათუმში ჩავიდა, სადაც უკვე იმყოფებოდნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გენერალი მაზნიაშვილი ბათუმისკენ გაემართა.

ბათუმში კი უკვე თურქები იყვნენ. თურქეთმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და სამხრეთ საქართველოს ისტორიული მხარეების დაკავება დაიწყო. მდგომარეობა ურთულესი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას ორი მეზობელი სახელმწიფო ინაწილებდა.

17 მარტს საქართველოს მთავრობამ, დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილმა და სამხედრო ხელმძღვანელობის ერთმა ჯგუფმა საქართველო დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. სამშობლოს დატოვების წინ მთავრობამ გაათავისუფლა ციხეში მყოფი ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც სასწრაფოდ ჩამოაყალიბეს რევკომი (რევოლუციური კომიტეტი) და ბათუმიდან თურქების განდევნა გადაწყვიტეს. გადაწყვეტა ერთი იყო და შესრულება – მეორე: რევკომს ჯარი არ ჰყავდა და მისმა წევრებმა ბათუმში დარჩენილი ქართული ჯარის გამოყენება გადაწყვიტეს. რევკომის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე წერდა, „მოგვახსენეს, რომ ერთადერთი სარდალი, რომელიც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და რომელსაც შეუძლია შეაკავშიროს სამხედრო ნაწილები, ეს გენერალი მაზნიაშვილიაო“. რევკომი გენერალ მაზნიაშვილს დაუკავშირდა და მოლაპარაკება შესთავაზა.

თავად მაზნიაშვილი ასე აღწერს ყოველივეს:

„მე გადავსწყვიტე, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, საბჭოთა ჯარების მოსვლამდე ოსმალები ბათუმის ოლქიდან უნდა გაგვედევნა... მე მივმართე თ. ჟღენტს და ამხანაგებს („ჟღენტი და ამხანაგები“ იყვნენ რევკომის წევრები) **მოკლე სიტყვით, სხვათა შორის ვსთქვი, რომ ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებაში, ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს და თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერლიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე, უწინდელი სამსახურისთვის არ იქნება დასჯილი, მე მზად ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგე სამხედრო მოქმედებას ოსმალების წინააღმდეგ. ამასთანავე გამოვსთქვი იმედი, რომ ყველა იქ დამსწრე ჩემი თანამოსამსახურენი იზიარებენ ჩემს აზრს. ყველა იქ დამსწრე ოფიცრებმა დაადასტურეს ჩემი აზრი... შემდეგ მოველაპარაკე გენერლებს ვ.წულუკიძეს და ართმელაძეს და ციხის რაიონი გავყავი ორ მებრძოლ უბნად: ნაწილი ქალაქისა, ბარცხანა და კახაბერის ფორტები დავუქვემდებარე გენერალ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი, სტეფანოვკა და ანარიის ფორტები - გენერალ ართმელაძეს.“**

ბათუმში მყოფი თურქების მეთაურმა არაფერი უპასუხა მაზნიაშვილის ულტიმატუმს ბათუმის ოლქის დატოვების შესახებ. სავარაუდოდ, ის ბათუმში მყოფ ქართულ ჯარს სერიოზულ ძალად არ თვლიდა. გიორგი მაზნიაშვილს სხვა აღარაფერი დარჩენოდა და 18 მარტს ქართულმა შენაერთებმა თურქებს შეუტიეს. გენერალ მაზნიაშვილისა და სხვა ქართველი გენერლების მეთაურობით ქართველმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ორდღიანი თავგანწირული ბრძოლების შემდეგ ოსმალები ბათუმის ოლქიდან განდევნეს.

გიორგი მაზნიაშვილი ემიგრაციაში აღარ წავიდა და სხვა ქართველ გენერლებთან და ოფიცრებთან ერთად სამსახური ქართულ წითელ ჯარში გააგრძელა.

1923 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა აღმოაჩინეს არალეგალურად მოქმედი „სამხედრო ცენტრი“, რომელიც საქართველოში დიდ ანტისაბჭოთა აჯანყებას ამზადებდა. 20 მაისს, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე, დახვრიტეს „სამხედრო ცენტრის“ თხუთმეტი წევრი (**გენერლები: კოტე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე; ოფიცრები: როსტომ მუსხელიშვილი, გოგი ხიმშიაშვილი, ნიკოლოზ ზანდუკელი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, იასონ კერესელიძე, ივანე ქუთათელაძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, ლევან კლიმიაშვილი**).

დაპატიმრებული იყო გიორგი მაზნიაშვილიც. საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ განაჩენში ეწერა, „მაზნიაშვილი გიორგი ივანეს ძე, 51 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი გენერალი, 1921 წელს კონტრრევოლუციისათვის მისჯილი ჰქონდა საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გამასწორებელი სახლში ჯდომა 5 წლით, შემდეგში განთავისუფლებული იყო ამინისტიის გამო. როგორც გამოძიებიდან ირკვევა, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, საქართველოს წითელი არმიის დივიზიის უფროსობის დროს, ის დაეთანხმა ნაციონალ-დემოკრატების ცეკას (იგულისხმება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი) ნაციონალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიღებაზე. კავშირი ჰქონდა ციხიდან გამოსვლის შემდეგ სამხედრო ორგანიზაციასთან. მიესაჯოს მას უმაღლესი სასჯელი (დახვრეტა), მაგრამ იმ დამსახურების გამო, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს გასაბჭოების დროს (იგულისხმება ბათუმის ოლქიდან თურქების განდევნა), შეეცვალოს უმაღლესი სასჯელი 5 წლის ვადით საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებით“.

ბათუმი, ქართული შენაერთები თურქებს უტევენ

გიორგი მაზნიაშვილი იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებინა და საფრანგეთში წავიდა, სადაც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ საქართველოდან წასული პოლიტიკოსები და სამხედროები. გენერალი პარიზში ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის საქმიანობაში. რამდენიმე წლის შემდეგ გენერალი მაზნიაშვილი საქართველოში დაბრუნდა. ცხოვრობდა, როგორც კერძო პირი. 1937 წელს იგი უფროს ვაჟთან ერთად დააპატიმრეს და დახვრიტეს.

უდიდესია გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურება სამშობლოს წინაშე. ადამიანისა, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა – **„მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე ვარ საქართველოს გენერალი!“** – და ბოლომდე ემსახურებოდა სამშობლოს.

სტატიაში გამოყენებულია ენდრიუ ანდერსენისა და გიორგი ფარცხალაძის მიერ შედგენილი რუკები.